პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
ოთხშაბათი
19 სექტემბერი
№ 216 (17561)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეს ყველას გვეხება!

ყაირათიანობა ყველგან, ყველაფერში

• • •

ზამთარი მოაჯლოვდა, როგორ ვემზადებით?

„საქმთავარენერგოს“ სამმართველოს კოლეგიის სხდომათა დარბაზში იმდენი ხალხია, რომ ნემსი ვერ ჩავარდება. დღეს აქ შეიკრიბნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და რესპუბლიკის დიდი ქალაქების ელექტროქსელებისა და „საქენერგოგასაღების“ განყოფილებათა დირექტორები, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები, სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მიმდინარეობს კოლეგიის საგანგებო სხდომა. „საქმთავარენერგოს“ კოლექტივის საქმიანობის პრაქტიკაში პირველად იხილავენ საქართველოს სსრ პროკურორის, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩევლის ა. ბარაბაძის წარდგინებას „საქმთავარენერგოს“ „ენერგოგასაღების“ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის თაობაზე კანონმდებლობის შესრულების შესახებ. ეს ღონისძიება პირდაპირ ეზმაურება სკკ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებას „მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. ამ დოკუმენტის თანახმად სამართალდამცავი ორგანოები პარტიულ, საბჭოთა და სხვა სახელმწიფო /და საზოგადოებრივ ორგანოებთან ერთად ვალდებული არიან გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ, ყველგან დაამყარონ მკაცრი წესრიგი მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა და დაცვაში, გადაჭრით აღმოფხვრან უყაირათობის, მფლანგველობის, წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტები.

სხდომას ესწრება რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი ს. სიამაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობდა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის თაობაზე კანონმდებლობის შესრულების შემოწმებას. შეკრებილთ წარდგინებას აცნობს „საქმთავარენერგოს“ უფროსის მოადგილე რ. მშვიდობაძე.

შემოწმებით დადასტურდა, რომ „ენერგოგასაღების“ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულმა განყოფილებებმა და უბნებმა უკანასკნელ წლებში ენერგიის აყაირათიანად გამოყენების მხრივ გააუმჯობესეს მუშაობა. ამ მიმართულებით ასობით ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება განხორციელდა და შედეგიც საგრძნობია.

მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება „სახალხო მეურნეობაში ელექტრო და სათბობი ენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ“. ჯერ კიდევ დიდია იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც ლიმიტით გათვალისწინებულზე მეტ ელექტროენერგიას ხარჯავენ. ენერგოგასაღების ორგანიზაციათა ეკონომიკური სანქციები — გადახარჯული ენერგიის ღირებულების მომატებული (ოთხმაგი) ოდენობით გადახდევინება საკმარისი არ აღმოჩნდა უნერგიის რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წლის მარტო შვიდ თვეში ლიმიტით გათვალისწინებულზე მეტი ელექტროენერგია დახარჯა 223 საწარმომ და ორგანიზაციამ, რომლებსაც ზედმეტად გადახდათ 471 ათასი მანეთი.

ზოგიერთი ენერგოგასაღების განყოფილება არ ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის მარტის ბრძანებულებით „ელექტროენერგიის და თბოენერგიის დაუზოგველი ხარჯვისათვის თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“.

იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ელექტროენერგიას ფლანგავენ და ჯარიმებს სახელმწიფოს ჯიბიდან იხდიან, ასახელებენ გურჯაანის რაიკოოპერატივს და აუერის ქარხანას, ეელისციხის კოლმეურნეობას, ყვარლის რაიონის ეთერზეთოვანთა ქარხანას, გორის პურპროდუქტების კომბინატს, ქუთაისის „სათბოტექნიკის“, სამტრედიის სარაიონთაშორისო გაყოფილებას, თელავის ალინინის ქუჩაზე მდებარე ხმის ჩამწერ ატელიეს და მრავალ სხვას.

პროკურორის წარდგინებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კერძო სექტორში აბონენტთა მიერ დატიცებით დახარჯული ენერგიის ღირებულებამ 175 ათასი მანეთი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაციცლებით მეტია.

ენერგიის სარგებლობის წესების დარღვევებთან დაკავშირებით წელს კერძო სექტორში 5186 აქტი შედგა. ამ დოკუმენტების საფუძველზე ზოსახლეობას დამატებული გადასახელოდ 175 ათასი მანეთი [illegible] ენერგიის [illegible] ასია საკმაოდ ვრცელია და კოლეგიაზე მხოლოდ რამდენიმე დაასახელეს.

აი ისინიც. გორის ბარათაშვილის № 9-ში მცხოვრებ მ. ბზიშვილს შემოწმებისას ელექტრომრიცხველი დამიწების საშუალებით ჰქონდა გაჩერებული, ხოლო გურამიშვილის ქუჩის № 52-ში მცხოვრებ ა. ტერტეროვას მრიცხველის დასადუმებლად ციფოფირი აურჩევია. ციფოფირით ენერგიის მოპარვა გურჯაანის რაიონის სოფელ ელისციხეში მცხოვრებ ს. ლეგაშვილსაც უსწავლია. მრიცხველი რას მიქვია, უთქვამს გორის რაიონის სოფელ ყელქციულის მკვიდრს ო. სამხარაძეს და ელექტროშედუღების აპარატი დღეების განმავლობაში უანგარიშოდ უგულებენია. უფრო „რთული ტექნიკური ხერხისთვის“ მიუმართავს თელავის ჭავჭავაძის №3-ში მცხოვრებ მ. ნერსესოვს. მას „დაუდეგარი“ მრიცხველი ხუფის გახვრეტით „მოუთვინიერებია“.

ენერგიის მომჭირნე ხარჯვისათვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად საქართველოს სსრ პროკურორს საჭიროდ მიაჩნია, რომ სრულყოფილად იქნეს გამოყენებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 27 მარტის ბრძანებულებით დაწესებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება. მასალები იმ თანამდებობის პირების შესახებ, რომლებიც თავიანთ ორგანიზაციებში ლიმიტით გათვალისწინებულზე მეტ ენერგიას ხარჯავენ, დროულად უნდა გადაეცეს ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ადმინისტრაციულ კომისიებს, ხოლო ენერგოგასაღების განყოფილებები უნდა დაინტერესდნენ ამ მასალების განხილვის შედეგით.

ენერგოგასაღების განყოფილებები ვალდებული არიან კერძო სექტორში ელექტროენერგიის სარგებლობისა და დატიცებით ხარჯვის შედეგად წარმოშობილ დავალიანებათა დასაფარავად გააძლიერონ მატერიალური პასუხისმგებლობა და დაეის შემთხვევაში აბონენტთა მიმართ სათანადო მასალები და სარჩელები წარუდგინონ სახალხო სასამართლოებს.

კანონმდებლობის შესასრულებლად „ენერგოგასაღების“ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში უნდა გაძლიერდეს იურიდიული მომსახურება.

წარდგინების განხილვის შედეგად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ რესპუბლიკის პროკურორს ერთი თვის ვადაში უნდა ეცნობოს.

ჩვენ კვლავ შეგახსენებთ ენერგიის ყველა ურჩ მფლანგველს, რომ საკითხი ძალზე სერიოზულად დგას. დღეს განსაკუთრებით ენერგიის რაციონალურად ხარჯვის საკითხი აქტუალურზე აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჩადგა და ახლო მომავალში კიდევ ჩადგება ხალხის სამსახურში ელექტროენერგიის ახალი დიდი სიმძლავრეები. მაინც იქმნება ამ სახეობის სათბობის ერთგვარი დეფიციტი. ზოგიერთები მხრებს იჩეჩავენ და გაიძახიან, როგორ, მაშ რისთვის აშენდა ენგურჰესი, გაიზარდა და იზრდება ვარკეთილის ჰესის სიმძლავრეები, ორჯერ მეტ ენერგიას იძლევა ტყვარჩელის თბოელექტროსადგური და სხვა. ასეთები, პირდაპირ გეტყვით, თავიანთ ცხვირს იქით ვერას ხედავენ რა, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ საქართველოში გამომუშავებული ენერგია ქვეყნის ენერგოსისტემას ერთვის. ისიც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ქვეყანა დიდი ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას და ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ახალი ფაბრიკა-ქარხნები, შახტები, მეცხოველეობის კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა მრავალი დანიშნულების ობიექტი დგება მწყობრში. მათი მუშაობა კი ელექტროენერგიის გარეშე შეუძლებელია.

ზამთარი მოახლოვდა და დასამალი არ არის, რომ შეიძლება ბევრი სიძნელის წინაშე დავდგეთ. ამიტომ აქედანვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი, გავეფრთხილდეთ ყოველ კილოვატსაათ ენერგიას, წესრიგში მოვიყვანოთ დანადგარები, შევამციროთ თითოეული ნაწარმის დანახარჯები, გამოვრთოთ პროკურატორებივით გაჩახჩახებული ნათურები იქ, სადაც ეს საჭირო არ არის. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით მივეთდეთ ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხს და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ მეათე ხუთწლეულის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჯილდოს გადაცემა

18 სექტემბერს მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ჩ. ლოვეტინსკიმ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს ა. ი. პელშეს გადასცა კლემენტ გოტვალდის ორდენი.

(საკადესი).

КОМУНИСТИ

18 სექტემბრის მოწინავე

ჯანმრთელობის მეშენებლობანი

ქუსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ვითარდება მედიცინის მატერიალური ბაზა, როგორ მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა რეკონსტრუქცია და მშენებლობა. სკკ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის დასახელა საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელის გაფართოება.

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მტკიცდება სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური საფუძველი. ბარტო შარშან სახელმწიფო სახსრებით აშენდა და ხელუსლოატაციოდ გადაეცა 58-ათასსაწოლიანი საავადმყოფო და ცვლაში 121 ათასი კაცისათვის გათვალისწინებული პოლიკლინიკები. მათ შორის არის ისეთი დიდი სამედიცინო ცენტრები, როგორიცაა მინსკის სახელმწიფო დახმარების საავადმყოფო, ლენინგრადის მრავალპროფილიანი და დონეცკის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოები, ვილნიუსის ონკოლოგიური დისპანსერი, მოსკოვის, ვოლგოგრადის, კუიბიშევის, ყოროშილოვგრადის თანამედროვე პოლიკლინიკები, კრამატორსკის ბავშვთა პოლიკლინიკა და სხვები. აიგო რაიონული საავადმყოფოების ბევრი შენობა. საკავშირო კომუნისტურ შაბათობათა სახსრებით აშენდა სამშობიარო სახლები არხანგელსკის ოლქში, ბაშკირთსა და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკებში, თერაპიული კორპუსები პეტროზავოდსკში, კიროვში და ა. შ.

სამედიცინო დაწესებულებათა შენობების ოთხმოც პროცენტზე მეტი შენდება ტიპობრივი პროექტებით, რომელთა რიცხვი ას ორმოცს აღწევს. ეს პროექტები სულ უფრო უმჯობესდება. ახლახან ძალაში შევიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული სამშენებლო ნორმები და დაპროექტების წესები, რომლებიც საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს და ახალი ტექნიკის გამოყენების საჭიროებას ითვალისწინებენ. ხორციელდება მსხვილი მრავალპროფილიანი და სპეციალიზებული სამკურნალო ცენტრების შექმნის კურსი — აქ შეგვიძლია უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ექიმთა ცოდნა და გამოცდილება, უფრო სწრაფად ავითვისოთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრესული მეთოდები, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკა.

საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების მშენებლობის ტემპი მით უფრო სწრაფია, რაც უფრო მეტად ზრუნავენ ჯანმრთელობის მშენებლობისათვის სამინისტროების, ჯანმრთელობის დაცვის სამხარეო და საოლქო განყოფილებების ხელმძღვანელები, საბჭოთა და პარტიული ორგანოები. სწორედ ამით აიხსნება სამედიცინო ობიექტების მშენებლობის წარმატებანი რუსეთის ფედერაციის მთელ რიგ ოლქებში, უკრაინაში, უზბეკეთში, საქართველოსა და ლატვიაში. მაგრამ სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელის განვითარებისათვის ქმედითი ზრუნვა ჯერ კიდევ ყველგან როდი იქცა წესად. შარშან ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ აითვისეს მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგალითად, ბელორუსიასა და უკრაინაში.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს, რომ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ჯანმრთელობის სახსახურის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციების დახმარება, გავხსნათ ახალი პოლიკლინიკები და ამბულატორიები უწინარეს ყოვლისა ახალ მშენებლობათა რაიონებში და სოფლად.

ამ ბოლო წელს სამრეწველო სამინისტროებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს საავადმყოფოები პერმსა და უფაში, ამორის კომსომოლსკსა და ნოვგოროდში, კემეროვოსა და როსტოვის ოლქებში, ზღვისპირეთის მხარეში. მაგრამ მთლიანად გეგმა მხოლოდ თხუთმეტმა შეასრულა იმ ოცდაათზე მეტი ინდუსტრიული სამინისტროდან და უწყებიდან, რომლებსაც სამედიცინო ობიექტების მშენებლობის დავალებანი ჰქონდათ მიცემული. ჩამორჩენილთა შორის არიან ნავთობის, ქიმიური, კვების მრეწველობის, ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის, შავი მეტალურგიის საკავშირო სამინისტროები. ბევრი სამკურნალო დაწესებულება არ გახსნილა სწორედ იქ, სადაც ისინი განსაკუთრებით სჭირდებათ — ქვეყნის აღმოსავლეთში. ეს არის, მაგალითად, საავადმყოფოები ტომსკის ოლქის ქალაქ სტრეჟევოისა და კრასნოიარსკის მხარის დაბა მაინაში, საბავშვო საავადმყოფოები ნორილსკსა და ანჩინსკში, სამშობიარო სახლი ნოვოკუზნეცკში.

ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის ვერც წლევანდელი მიმდინარეობა გვაძლევს გულდამშვიდების საფუძველს. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების გეგმა პირველ ექვს თვეში რეალიზებულია მხოლოდ 88 პროცენტით — უარესად, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. სერიოზული ჩამორჩენაა ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, ესტონეთში. ნელი ტემპით აწარმოებს სამუშაოებს ზოგიერთი სამრეწველო სამინისტროც, განსაკუთრებით ნავთობის მრეწველობისა და ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტროები.

საქმეს აფერხებს მშენებლობის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი, სახსრების დაჭარბებული ნაკადი, გეგმაში ობიექტების შეტანა დადგენილ ვადებში მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად. ზოგჯერ საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობას მეორეხარისხოვან ამოცანად თვლიან. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ პატარა მშენებლობანიც კი, რომლებიც ნორმების მიხედვით ერთ-ორ წელიწადში უნდა დამთავრდეს, ხშირად დიდხანს ჭიანურდება. მაგალითად, დღემდე არ გადაუციათ საექსპლოატაციოდ რაიონული საავადმყოფო ფსკოვის ოლქში, თუმცა იგი 1978 წლიდან შენდება, და 200-ადგილიანი საავადმყოფო სამარყანდის ოლქში, რომლის მშენებლობა თერმეტი წლის წინათ დაიწყო. მედიკოსებს ყოველთვის ვერც საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების შენობათა აგების ხარისხი აკმაყოფილებს.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ოპერატიული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ მდგომარეობის გამოსასწორებლად და წლის დარჩენილ თვეებში აღმოფხვრან ხარვეზები. პარტიული კომიტეტების მოვალეობაა უზრუნველყონ, რომ ქმედითი კონტროლი ეწეოდეს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ქსელის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალური რესურსების სრულად გამოყენებას.

ჯანმრთელობის ობიექტების მშენებლობანი სკკ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ახალი საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, აფთიაქებისა და სხვა სამედიცინო ობიექტების დროული ამოქმედებისათვის ზრუნვა მშენებელთა პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა. კომუნისტები უნდა გვიჩვენებდნენ კეთილსინდისიერი მუშაობის მაგალითს, იღვწოდნენ, რათა თითოეულ მშრომელს მკაფიოდ ჰქონდეს შეგნებული საქმის მიმდინარეობისათვის პირადი პასუხისმგებლობა, შეურიგებლად ილაშქრებდნენ უყაირათობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, იყვნენ მოწინავე გამოცდილების ყველგან გავრცელების ინიციატორები.

ჯანმრთელობის დაცვის მატერიალური ბაზის განმტკიცება, სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის განვითარება ხელს შეუწყობს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებს.

კონსტიტუციის მეორე წლისთავის აღსანიშნავად

დამკვრელური შრომით!

გეგმის გადამეტებით

ჟიათურა. (საკ. კორ. ო. ნიქაბაძე). კალინინის მაღაროს კოლექტივმა რვა თვის გეგმის გადამეტებით ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს 5.800 ტონა მანგანუმის კონცენტრატი გაუგზავნა. ამ წარმატებას სამთოელებმა შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვით და სამთო მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებით მიაღწიეს. წლის შრომის ნაყოფიერება 9,4 პროცენტით გაიზარდა. თვითღირებულების შემცირების გზით მიღებულია 25 ათასი მანეთი ეკონომია, ხოლო ხელფასის ფონდში 26 ათასი მანეთია დაზოგილი.

• ახალი კონსტიტუციის მეორე წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან ის უბნები, რომლებსაც შ. მოდებაძე, ო. გოგატიშვილი, შ. კაპანაძე და ა. გაბეჩავა ხელმძღვანელობენ.

შეკვეთები ვადამდე

ცხინვალი. (საკ. კორ. გ. თედეევი). ვიბრაციული მანქანების ქარხანამ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღნიშნული ვიბრომკვებავი აგრეგატების სერიული გამოშვება დაიწყო. წინამორბედებთან შედარებით ახალი პროდუქცია საექსპლოატაციოდ უფრო ხელმისაწვდომია, მისი დეტალები და კვანძები განსაკუთრებული სიმტკიცის ლითონისაგან არის დამზადებული. ვიბრომკვებავებს იყენებენ ნატეხი, მარცვლოვანი და ფხვიერი მასალების დოზირებული მიწოდებისა და ტრანსპორტირებისათვის.

ახალი პროდუქციის პირველი პარტია ვადამდე გაეგზავნა ქალაქ ვოლგოგრადის ერთ-ერთ საწარმოს. ასევე ვადამდე შესრულდა ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის, მაგადანისა და ჩრდილოეთის სხვა უმსხვილესი სამრეწველო ობიექტების შეკვეთები.

მისამართი: ოლიმპიური სოფელი

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ციერეკიძე). კურსების გრანტის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი — გ. გუმბერიძე) შრომითი აღმავლობით აღნიშნა სექტემბრის პირველი დეკადა. მეგრანტეები ყოველ ღონეს ხმარობენ დავალიანების საღიკვიდაციოდ, გრანტის ნაკეთობათა ხარისხის ასამაღლებლად.

ქარხანა წლეულს ძირითადად განსაკუთრებული დანიშნულების მშენებლობების შეკვეთების შესრულებაზე მუშაობს. გრანტის გაპრიალებული ფილების დიდი პარტია უკვე მოსკოვის ოლიმპიური სოფლის უნიკალური კომპლექსის მშენებლობაზე გაიგზავნა. ვლადივოსტოკისაკენ გეზი აიღო სარკინიგზო ვაგონმა, რომელსაც შორეული ქალაქის კულტურის სასახლის მშენებლობისათვის 150 კვადრატული მეტრი გარე ფასადის მოსაპირკეთებელი ქვა მიაქვს. დიდძალი გაპრიალებული ფილები გაიგზავნა აგრეთვე როსტოვში, ტამბოვში, თბილისში, გაგრასა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, ასეთი შეკვეთებისადმი აქ მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლია დაწესებული.

საწარმოში ფრთას შლის სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ახალი კონსტიტუციის მეორე წლისთავის ღირსეულ შეხვედრას ეძღვნება. წარმატებას აღწევს ქვის დამჭრელთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც გ. ქათამაძე უდგას სათავეში. ყოველდღიურ დავალებას ახალგაზრდა მუშები 40-50 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ.

თვალი შეავლეთ საქართველოს რუკას

ჭაობებთან ბრძოლა გრძელდება

რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს მწვანე არშიასავით გასდევს კოლხეთის დაბლობი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აქ გაუვალი ჭაობი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო ნაყოფიერი მიწების ათვისება. 90 ათას ჰექტარ ნაჭაობარ ფართობზე ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებია გაშენებული.

გაერთიანება „ციტრუსის“ მეურნეობა, რომელიც ამ ნაჭაობარ მიწებზეა გადაშლილი, ყოველწლიურად ათიათასობით ტონა ჩაის, ციტრუსებს, ტუნგსა და დაფნის ფოთოლს იძლევა.

ქართველი მელიორატორები ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ შემუშავებული კომპლექსური გეგმით სკკ XXV ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ.

სურათებზე: III ხარისხის შრომითი დიდების ორდენოსანმა, № 12 მოძრავი მექანიზებული კოლონის ფართო პროფილის მექანიზატორმა ოთარ ნემსიწვერიძემ წელს გუდაუთის რაიონში 120 ჰექტარი მიწა გააცოცხლა; მძლავრი. მიწასაწოვი ხელსაწყოები ჭაობიან მიწებს უტეხენ; საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს № 12 მოძრავი მექანიზებული კოლონის მექანიზატორები ახალი მიწების ასათვისებლად ფართო ფრონტით აწარმოებენ სამუშაოებს. ახლო მომავალში გალის რაიონის სოფელ რეპო შიშელეთის კოლმეურნეობა კიდევ 50 ჰექტარს მიიღებს, სადაც სუბტროპიკული კულტურები გაშენდება.

ი. ჭიჭოლიანიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გრიანსკს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადაეცა

ბრიანსკი, 18 სექტემბერი. (საკადესი). დღეს აქ გაიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც ბრიანსკისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემას მიეძღვნა. ეს მაღალი ჯილდო ქალაქს მიენიჭა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებებისათვის, რევოლუციურ მოძრაობაში დამსახურებისათვის, დიდი სამამულო ომის წლებში ქალაქის მშრომელთა მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობისა და სიმტკიცისათვის, პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

შემდეგ მ. ა. სუსლოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ ბრიანსკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ და დამსწრეთა ტაშის გრიალში მიამაგრა ჯილდო ქალაქის დროშას.

რთველი — 79

ყურძენი — მარნებში

„სამტრესტის“ ცნობით, 18 სექტემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1979 წლის გეგმა	17 სექტემბრის მოკრეფა	სულ მოკრეფილია
გურჯაანის	109.300	3.733	40.419
თელავის	67.000	2.643	11.212
ყვარლის	52.500	1.722	14.224
სიღნაღის	40.000	2.165	23.617
ახმეტის	36.500	682	838
წითელწყაროს	30.300	702	16.716
საგარეჯოს	24.000	596	2.243
მარნეულის	20.000	1.121	7.770
ბოლნისის	12.800	535	1.474
ლაგოდეხის	10.800	450	2.179
გარდაბნის	10.700	242	559
სულ კახეთის რაიონებში	370.400	12.793	111.447
სულ ქართლის რაიონებში	78.590	1.898	9.803
სულ დასავლეთ საქართველოს რაიონებში	126.010	217	1.427
სულ რესპუბლიკაში	575.000	14.908	122.667

შარშან ამ დროს მოკრეფილი იყო 16.710 ტონა.

სუსხიანი სტრიქონები

• • •

და დგას ამწე კოშკურა...

დღეს გორის რაიონის სოფელ კარალეთის მცხოვრებლებს თავიანთი სოფელი ველარც კი წარმოუდგენიათ წლების მანძილზე დაუმთავრებელი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლისა და იქვე, რესლებზე შეყუდებული უმოქმედო „კოშკურა“ ამწის გარეშე.

დიდი რამე, თუ „კოშკურა“ ამწე და სანახევროდ დაუმთავრებელი შენობა ასე უხერხულად „ჩაეწერა“ სოფლის კოლორიტულ პეიზაჟს! საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტოს რესპუბლიკური სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ხელმძღვანელები სრულებითაც არ გრძნობენ თავს უხერხულად, პირიქით:

როცა 1977 წელს მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 171 ათასი მანეთია, ვერ დამთავრდა (ათვისებულ იქნა 23 ათასი მანეთი), მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები მომდევნო წლისათვის გადაიტანეს. შარშან მშენებლებმა მხოლოდ 32 ათასი მანეთი აითვისეს და, ცხადია, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის საზეიმო გახსნის (ერემონიალი მიმდინარე წლისათვის გადმოიტანეს.

წლეულს ჯერჯერობით 34 ათასი მანეთია ათვისებული. არადა, მშენებლობა მესამე კვარტალში უნდა დამთავრებულიყო. ჯერც ეს ხერხდება. ამდენი დაპირებები ქარალეთელებში ირონიულ ღიმილს იწვევს. „არაფერი გეტკინოთ თქვენი მშენებლობის დამთავრებამდეო“, ეუბნებიან ისინი ხარჩოებზე „კანტიკუნტად მომუშავეებს. ამის წყალობით არც მშენებლები უჩივიან ჯანმრთელობას, ყველა საე-სალამათად გრძნობს თავს. ხელუხლებელია კოშკურა ამწეც, რომელიც ერთ წელზე მეტია, რაც დაამონტაჟეს და იმდენად უმნიშვნელოა მისი დატვირთვის კოეფიციენტი, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს.

თუმცა, ეგებ სწორედ ეგ ღირდეს სალაპარაკოდ, რომ „კოშკურა ამწე მშენებლობაზე თვეში 1159 მანეთის სამუშაოებს უნდა ასრულებდეს, წელიწადში კი 14876 მანეთისას.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის მშენებლობაზე უმოქმედოდ მდგარი ეს გიგანტი ამ ხნის მანძილზე ერთ სამოცდაწიან საცხოვრებელ სახლს აამენებდა. ასეთია მშენებლობის ეკონომისტების „გაანგარიშებანი!

რაგორც ხედავთ, საქმე გვაქვს უყაირათობის, სამშენებლო ტექნიკის მოცდენის ისეთ აშკარა მაგალითთან, რომელიც ნეგატიური მოვლენების გამოვლინების სფეროს განეკუთვნება.

ამიტომაც მოვიკითხეთ მშენებელ ორგანიზაციაში — საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სამშენებლო სარემონტო სამმართველოს ზაშურის №3 სარემონტო უბანზე, როგორ იბრძვიან ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. კომისიაც კი არ არის დღემდე შექმნილი! არადა, სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს 1977 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით უბნის ხელმძღვანელობას სწორედ ასეთი კომისიის შექმნა ჰქონდა დავალებული.

მომკითხველობაც ამას ჰკვიან! ამის შემდეგ ალარ გვიკვირს, ასეთი გულგრძელობა და ინერტულობა რომ სუფევს მშენებლობაზე. საფუძველიც აქვთ ქარალეთელებს მწარედ იხუმრონ — „არაფერი გეტკინოთ ამ სახლის აშენებამდეო“.

მართლაც, რესპუბლიკური სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს თავკაცებს არც, არაფერი სტკივათ და არც სინდისი ქენჯნით.

ბ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მეტი მომთხოვნელობა რომ გამოეჩინათ...

დამთავრდა პარტიული ორგანიზაციების შემოქმედებითი ცხოვრების ძირითადი მონაკვეთი — საანგარიშო პერიოდი და დაიწყო დიდმნიშვნელოვანი კამპანია — საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ისინი სულ პირველად პარტიულ ჯგუფებსა და მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებში იმართება. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ბევრი რამ აქვთ საფიქრალი და სათქმელი ონელ კომუნისტებს, საამქრო პარტიული ორგანიზაციების მდივნებსა და პარტჯგუფორგებს.

სწორედ ასეთი, პარტიის ყველაზე ძირითადი რგოლების რიცხვი კი რაიონში საკმაოდ დიდია. აქ ამჟამად 70-მდე საამქრო პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ჯგუფია. მათ დიდი მუშაობა გასწიეს საანგარიშო კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებების განხორციელებისათვის, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბევრი ნაკლის აღმოფხვრას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. მეათე ხუთწლედის მეოთხე სამეურნეო წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ბევრი კარგის თქმა შეიძლება სორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შარდომეთის მეცხოველეობის ფერმის პარტიული ჯგუფის საქმიანობაზე. ამ ძირეულ რგოლში, რომელიც შარშან სექტემბერში შეიქმნა, 7 კომუნისტია გაერთიანებული (პარტჯგუფორგი — საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი ერმილე კერესელიძე). პარტიული ჯგუფის წევრები რეგულარულად მართავენ კრებებს, საქმიანად მსჯელობენ ფერმაში პროდუქციის წარმოების გადიდების გზებზე, ავლენენ რეზერვებს, მკაცრად აკრიტიკებენ ყველას. ვინც არღვევს დისციპლინას, ცდილობს ცოტა იშრომოს და მეტი წაჰგლეჯოს მეურნეობას. პარტიული ჯგუფის დიდი ზრუნვის შედეგია, რომ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება მალე ხდება ცნობილი და საყოველთაო კუთვნილება მთელ მეურნეობაში.

მაგალითად, ფერმის მოწინავე მწველავმა ელენე ერაძემ თვალსაჩინო შრომითს წარმატებას მიაღწია — ერთი წლის განმავლობაში თითოეულ ფურზე გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი — 1970 კილოგრამი რძე მოწველა. ამ ნოვატორმა მეცხოველემ რაიონში პირველმა დაწერგა ძროხის ორჯერადი წველის მეთოდი, რამაც მკვეთრად გაზარდა პროდუქციის ხარისხი.

პარტიულმა ჯგუფმა მხარი დაუჭირა ნოვატორს, ყველაფერი იღონა თაოსნობის გასაფართოებლად. მას სულ პირველად მეზობელმა სულიკო ტოგონიძემ მიჰბაძა და კარგი შედეგიც მიიღო. ახლა ორივე მწველავი მოწინავეა რაიონში.

მოსალოდნელი იყო, რომ სორის საბჭოთა მეურნეობის ფარგეთის განყოფილების პირველადი პარტორგანიზაცია, მისი ბიურო მხარს დაუჭერდნენ პარტიული ჯგუფის აქტიურ საქმიანობას, ყოველმხრივ დაეხმარებოდნენ კომუნისტებს პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ-ორგანიზაციული და სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მომხდარა. პარტბიუროს რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა ჯეროვნად ეზრუნა ნოვატორი მწველავების ინიციატივის გავრცელებისათვის. უფრო მეტიც: საანგარიშო პერიოდში მას ერთხელაც არ უმსჯელია პარტიული ჯგუფის საქმიანობის შესახებ.

ჩვენ დავათვალიერეთ შარდომეთის მეცხოველეობის ფერმა, ვინახულეთ მწველავების ბინა. ვერც ერთი ლოზუნგი თუ პლაკატი, არავითარი თვალსაჩინო აგიტაციის საშუალება აქ ვერ ვნახეთ. ფერმის წითელ კუთხეში მხოლოდ ძველი ჟურნალ-გაზეთები იყო. განა ძნელია, გამოკრან აქ მოწინავეთა ფოტოსურათები. სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებები, მეურნეობისა და ფერმის ეკონომიკური მაჩვენებლები?.

კიდევ უფრო სავალალო ის არის, რომ პოლიტჯკურ-მასობრივი მუშაობის ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს სასოფლო კლუბი, რომელიც იქვე, ფერმის გვერდით მდებარეობს. აქ კულტურული მუშაობა მთლიანად ჩამკვდარია, ფორმალურად არის შექმნილი წრეები. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ „კლუბს“ თვით პარტბიუროს მდივანი რ. კერესელიძე უდგას სათავეში და ყოველთვიურად დამშვიდებით იღებს ხელფასს.

ახლა თვიის დამზადების ცხარე დღეებია შარდომეთში, მაგრამ ეს საშური საქმე ზლაზვნით მიიწევს წინ. სერიოზული საფრთხე ემუქრება პირუტყვისათვის მტაცეცე საკვები ბაზის შექმნას. ფერმის ეზოში მდებარე ორი 30-30 ტონიანი სასილოსე ორმო შემოწმების დღისათვის ცარიელი იყო. არც თივაა საკმაო რაოდენობით მიზიდული.

— მტაცეცე საკვები ბაზის შექმნისათვის დროულად ვიმსჯელეთ, — გვეუბნება ამ პარტჯგუფის ხელმძღვანელი ე. კერესელიძე. — ბევრი რამ გვიშლის ხელს. არ გვყავს სატვირთო ავტომანქანები. თივას და სასილოსე მასას ვერ ვეზიდებით. მუშახელი ცდება.

პარტიული ჯგუფის წევრები სოფლის ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხსაც აყენებენ. მაგალითად, კრებაზე მათ ბევრჯერ აღძრეს წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციის, ვეტმომსახურების გაუმჯობესების, მაღაზიის გახსნის და სხვა საკითხები, მაგრამ კომუნისტების ეს შენიშვნები და წინადადებები ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება.

ერთი სიტყვით, პარტიული ჯგუფი მოკლებულია მეურნეობის პარტიული კომიტეტის ქმედითს დახმარებას და მხარდაჭერას. და რაც უფრო ცუდია, მხოლოდ იგი არ არის ასეთ დღეში. ასეთივე მდგომარეობაშია სორის აგროგანყოფილების პირველი ბრიგადის პარტიული ჯგუფიც, რომელიც 11 კომუნისტს აერთიანებს.

აი ფაქტებიც: შარშან სექტემბერში გაიმართა ამ ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება. პარტჯგუფორგმა გ. ყავლაშვილმა კრებაზე გააკეთა ზეიელე, ყოველგვარ ანალიზს მოკლებული, საანგარიშო მოხსენება, რომელშიც არ იგრძნობოდა სიმწვავე, კრიტიკა და თვითკრიტიკა. კომუნისტებმაც თავიანთ გამოსვლებში, თუ ოქმის ჩანაწერებს დავუჯერებთ, გვერდი აუარეს არსებითს ნაკლოვანებებს.

მეტი მომთხოვნელობა რომ გამოეჩინათ...

ასეთმა უღიმღამო კრებამ, ცხადია, ვერ დასახა პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის გაუმჯობესების გზები. პარტჯგუფორგმა გ. ყავლაშვილმა, რომელიც კომუნისტებმა კვლავ აირჩიეს ხელმძღვანელად, არათუ არ გააუმჯობესა, პირიქით კიდევ უფრო შეასუსტა მუშაობა. კომუნისტები კრებებზე სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცება. კრიტიკულ წინადადებებსა და შენიშვნებს არავინ არ აღრიცხავს. პარტჯგუფორგი რატომღაც ზედმეტად თვლის საჭირბოროტო საკითხების პარტიულ კომიტეტში დაყენებას. და ეს უმეტესწილად ხდება იმიტომ, რომ პარტიული კომიტეტი არავითარ ყურადღებას არ აქცევს კომუნისტთა ამ წინადადებებს.

როგორც დღიურის ბოლო ჩანაწერიდან ჩანს, პარტიული ჯგუფის წევრებმა 7 აგვისტოს გამართულ მორიგ კრებაზე მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაზე იმსჯელეს. საკითხი თვით გ. ყავლაშვილმა მოამზადა, მაგრამ როგორც გასაკვირვები გამოირკვა, მას წარმოდგენაც კი არა აქვს ამ საკითხზე. მაგალითად, მან არ იცის, თუ რამდენი ტონა თივა, სენაჟი და სილოსი უნდა დაამზადოს პირველმა ბრიგადამ. ვერც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები მოიგონა და ვერც კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები.

სორის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ბერუჩაშვილმა გვიჩვენა მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა, რომელიც პარტიული ჯგუფების მუშაობის შესწავლას და მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევას ითვალისწინებს. საანგარიშო პერიოდი გავიდა, დანაპირები დახმარება კი არ ჩანს, არადა, ეს დახმარება უთუოდ სჭირდებათ პარტიულ ჯგუფებს.

პარტიული ჯგუფების მუშაობა არც შეუბნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში დგას მოწოდების სიმაღლეზე. მათი დიდი უმრავლესობა ბეღლის ანაბარად არის მიტოვებული. პარტიული კომიტეტის წევრები ვერ მიდიან ადგილებზე და პრაქტიკულად ვერ ეხმარებიან პარტიულ ჯგუფებს. ამიტომ არის, რომ ბევრი კომუნისტი არ იცნობს პარტბიუროს და პარტიული კომიტეტის დადგენილებებს. არ ისმენენ პარტჯგუფორგების ანგარიშს, დანერგული არ არის კომუნისტთა ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება წინა კრებაზე მიღებული დადგენილება. დაბალ დონეზეა აღმზრდელობითი მუშაობა, რის გამოც ზოგიერთი კომუნისტი არღვევს კომუნისტური ქცევის ნორმებს. მეურნეობის მეორე ბრიგადის პარტიული ჯგუფის წევრმა პ. ჩიკვილაძემ მეცხოველეობის ბრიგადირად მუშაობისას არევ-დარევა შეიტანა. კომბინირებული საკვების აღრიცხვის საქმეში და ამით ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ქონების განიავებას, რის გამოც იგი მოხსნეს თანამდებობიდან და სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცეს.

კომუნისტისათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობით როდი ეკიდება საქმეს შეუბნის აგროგანყოფილების პირველი ბრიგადის პარტჯგუფორგი დ. გობეჯიშვილი. იგი ჯგუფის კრებამ შემთხვევიდან შემთხვევამდე იწვევს. აქ პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება გასული წლის ოქტომბერში გაიმართა. შემდეგ კი მიმდინარე წლის 12 თებერვალს. როგორც ჩანაწერებით ჩანს, ამის შემდეგ ჯგუფმა ცოტა კიდევ წაიძუძგა და ისევ მიიძინა. მესამე თვეა, დ. გობეჯიშვილს პარტჯგუფის წევრები ერთხელაც არ შეუკრებია. ამის საჭიროება კი ნამდვილად არის. ბრიგადაში ნელი ტემპით მიმდინარეობს თივის დამზადება და დაბინავება.

პარტიის ონის რაიკომის ბიუროომ ახლახან განიხილა ზოგიერთი პარტიული ჯგუფის მუშაობის საკითხი. სხდომაზე ღრმად გაანალიზეს გამოვლენილი ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების ღონისძიებებიც დასახეს. ახლა საჭიროა ნაყოფიერი ორგანიზაციული მუშაობა. რათა ასეთი მდგომარეობა არ განმეორდეს და ახალი საანგარიშო პერიოდი კომუნისტებმა ამთავითვე ენერგიულად დაიწყონ.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მწყობრში ჩადგა ახალი ფაბრიკა

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების გლდანის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკამ პირველი პროდუქცია გამოუშვა.

დროთა განმავლობაში იგი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო გახდება, რომლის სამრეწველო სიმძლავრე 13 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და 3,5 ათასი ტონა ტილო იქნება. მისი ძირითადი პროდუქცია ქალისა და ბავშვის ხელოვნური აბრეშუმისა და ბამბის ტრიკოტაჟის საცვლები და მსუბუქი ზედა ტრიკოტაჟია.

მიმდინარე წლის ბოლომდე გათვალისწინებული აქვთ 5 მილიონ 400 ათასი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი დაამზადონ. მალე ფაბრიკა გაერთიანების მეთაური საწარმო გახდება. აქ გადაიტანენ სამღებრო, გასაწყობ და სამკერვალო საამქროებს.

თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, საამქროებისა და უბნების სწორი დაგეგმვის შედეგად გლდანის ფაბრიკა სანიმუშო იქნება თბილისში.

სურათებზე: თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების გლდანის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკის საერთო ხედი; ახალი ფაბრიკის სამკერვალო საამქრო. მკერავი ლია ჩაგმაძე.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეკონომიკური ეფექტი თვალსაჩინოა!

ამ გოლო ორ წელიწადში გვალვამ და მოუსავლიანობამ, მინდორთან და ვენახთან ერთად, გარკვეული სიძნელეები შეუქმნა მეცხოველეობასაც. გამოცდილი მეურნეები, სპეციალისტები ავლენენ და იყენებენ ახალ-ახალ ტუტი გვთავაზობს სხვადასხვა რეცეპტურით; მიუხედავად ამისა, მას ბევრი საწარმო თუ მეურნეობა არ იყენებს: ამით ისინი ბუნებრივი რძის დაზოგვისა და წარმოების ეფექტიანობის დიდ შესაძლებლობებს კარგავენ.

როგორც ყუათიანობის, ისე ეკონომიურობის თვალსაზრისით, საღი რძის შემცველის დამზადების საუკეთესო რეცეპტურას იძლევა ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სწორედ ამ რეცეპტს, ამ ხერხს იყენებს წითელწყაროს ყველ-კარაქის მთავარი ქარხანა და გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტსაც აღწევს; ქარხანის ძარაზე და ფუთავენ ჰაერგაუმტარ ტოლებში. რაიონის მთელმა რიგმა მეურნეობებმა რძის შემცველი სითხის შესანახად შეიძინეს სამაცივრო დანადგარები და წინასწარ, საჭირო რაოდენობით გადააქვთ იგი ფერმებში. ჩვეულებრივ, ტრანსპორტირებისას სითხის ტემპერატურა ეცვლება 40-35 გრადუსამდე და იგი ზომიერია ხბოების საკვებად.

რძის შემცველის გამოშვება წითელწყაროს რაიონში წლეულს პირველი ივლისიდან დაიწყო. უკვე გამოშვებული და რეალიზებულია 200 ტონაზე მეტი. ამ საქმეში ქარხნის კოლექტივთან ერთად გარკვეული წვლილი მიუძღვით რაიონის ხელმძღვანელობას, მთავარ სპეციალისტებს, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მუშაკებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს კარგი ინიციატივის განსახორციელებლად, ეფექტის მისაღწევად.

ნათქვამია — ყველაფერი ანგარიშით არისო, და როცა ვიანგარიშეთ, დავრწმუნდით, რომ ამ მეთოდის დანერგვა ბევრ მეურნეობას, რაიონს, მოლიანად ჩვენს რესპუბლიკას დიდ ეკონომიკურ ეფექტს მისცემდა.

შარშან წითელწყაროს რაიონში 6,000-მდე ხბო და ხაჭი გამოიზარდა, თითოეულზე 250 კილოგრამი, ანუ სულ 1.500 ტონა საღი რძე დაიხარჯა. ეს კი რაიონში წარმოებული რძის 10 პროცენტია. საღი რძის შემცველის გამოყენებისას თითოეულ ხბოზე 200 კილოგრამი, ანუ სულ 1.200 ტონა რძე დაიზოგება, რისგანაც 40 ტონა კარაქი დამზადდება. ამასთანავე საზოგადოებრივი მეურნეობები დამატებით მიიღებენ 240.000 მანეთს.

როგორც უკვე ვთქვით, წარმოების ეს რეზერვები წითელწყაროს რაიონის ყველ-კარაქის ქარხანაში დანერგილია, ეფექტი თვალსაჩინოა. ასე რომ, სხვა რაიონების ქარხნებს შეუძლიათ მას მიბაძონ.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხელოვნური რძის სიკეთე

ახალი საამქრო წითელწყაროში

რეზერვებს ხორცის, რძის, მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დონის არათუ შენარჩუნების, არამედ გადიდებისათვის.

მთელ რიგ მეურნეობებში, მათ შორის წითელწყაროს რაიონში მწვანე საკვები მასის სიმცირის გამო იკლო წველადობამ. სწორედ ამ დროს, ყველ-კარაქის ქარხნის სპეციალისტებმა შეიმუშავეს და რაიონის მეურნეობებს შესთავაზეს მოზარდეულის საკვების ისეთი სახეობა, რომლითაც შეიძლება დაიზოგოს დიდძალი რძე, ფულადი სახსრები. ეს არის საღი რძის ხელოვნური შემცველის დამზადება და ხბოების საკვებად გამოყენება.

მოხდილი რძის ბაზაზე ხელოვნური რძის დამზადება, მისი შევსება საჭირო კომპონენტებით პრაქტიკაში ახალი არ არის, მას ჩვენი ქვეყნის არაერთი ინსტიტუტი ... ...

ვიზიტი დამთავრდა

ადენი, 17 სექტემბერი. (საკ. დან.). იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტის სასახლეში სადილი გამართა ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად.

სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. მუჰამედმა.

.იემენის სოციალისტური პარტიის, დემოკრატიული იემენის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით და დავალებით იგი მესალმა საბჭოთა მთავრობას მეთაურს.

ჩვენ უკვე გვქონდა ორმხრივი ვიზიტები მაღალ პარტიულ და სახელმწიფოებრივ დონეზე, რაც ჩვენი ქვეყნებისათვის წესად იქცა, — თქვა შემდეგ ა. ნ. მუჰამედმა. — იემენსა და საბჭოთა კავშირს მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა აკავშირებთ. ჩვენ შეგეძლით გარკვეული პროგრესისათვის მიგვეღწია სხვადასხვა დარგში — პარტიულ, სახელმწიფო, ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ დარგებში. ჩვენი შეხედულებანი და პოზიციები ყოველთვის ემთხვეოდა ერთმანეთს დემოკრატიისა და მშვიდობის პრობლემებზე ურთიერთგაგების სულისკვეთებისა და იმ რევოლუციური პრინციპების მეოხებით, რომლებსაც ერთგულად იცავენ ჩვენი პარტიები და მთავრობები.

განვითარებული სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ახალი გამარჯვებები ჩვენი აღტაცებისა და პატივისცემის გრძნობას იწვევს. საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების როლის ზრდა მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი მიღწევაა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასასრულ ა. ნ. მუჰამედმა გამარჯვება უსურვა იემენ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, ადიენ-რძელა ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და აბდელ ფათახ ისმაილი, ა. ნ. კოსიგინი, წარმოთქვა მეცნიერული სოციალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უმაღლესი იდეალების სადღეგრძელო.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა. მიმართა რა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, მან თქვა:

ნება მიბოძეთ, თქვენ და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ ხალხს გულითადად მივესალმო და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით.

საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული იემენის ურთიერთობა, დღენიადაგ მზარდი თანამშრომლობა, რომელიც სულ სხვადასხვა დარგს მოიცავს, მისი სიმტკიცე, ცხოველმყოფელობა დაკავშირებულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის მიზნების ერთობლიობასთან.

ერთ თვეში სრულდება პირველი წლისთავი მას შემდეგ, რაც შეიქმნა იემენის სოციალისტური პარტია, რომელმაც თავის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ პლატფორმად მეცნიერული სოციალიზმი გამოაცხადა. პარტიის შექმნა უთვალსაჩინოესი მოვლენა გახდა დემოკრატიული იემენის ისტორიაში.

ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ იემენის სოციალისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელობას წარმატებებს დემოკრატიული იემენის მშენებლობაში, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების, თქვენი რესპუბლიკის უშიშროებისა და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების საქმეში.

ეს მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ საერთო ვითარებაზეც, რომელიც ახლო აღმოსავლეთში იქმნება.

ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული ხელშეკრულების დადებამ ახალი დაბრკოლება აღმართა იმ საყოველთაო სამართლიანი მოწესრიგების გზაზე, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ არაბთა მართალ საქმეს და შეგიძლიათ თქვენთან გვიგულოთ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ კმაყოფილება გამოვთქვათ დემოკრატიული იემენის ხელმძღვანელებთან გამართული დღევანდელი მოლაპარაკების გამო, — თქვა დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა. — მან ადიეგრძელა დემოკრატიული იემენის ხალხი, გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობას და თანამშრომლობას, ადიეგრძელა ამხანაგები აბდელ ფათახ ისმაილი და ალი ნასერ მუჰამედი, ყველა იქ მყოფი სამხრეთიემენელი მეგობარი.

აბდელ ფათახ ისმაილმა პრეზიდენტის სასახლეში ა. ნ. კოსიგინს გადასცა „14 ოქტომბრის“ რევოლუციის ორდენი.

ჯიღდოს მიღებისას საბჭოთა მთავრობის მეთაურმა თქვა, რომ იგი მიაჩნია იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებისა და საბჭოთა კავშირის ხალხების სიახლოვის გამოხატულებად, იმ ერთიანობის სიმბოლოდ, რომელიც აკავშირებს მათ იმ საერთო მისწრაფებაში, რომ ხორცი შეასხან სოციალიზმის — ისტორიული მოძღვრების იდეალებს, რომელსაც განთავისუფლება, თანასწორობა, ღირსეული ცხოვრება მოაქვს ადამიანებისათვის.

„14 ოქტომბრის“ რევოლუციის ორდენი ჩვენთვის აგრეთვე სამხრეთ იემენის მშრომელთა გამარჯვებების სიმბოლო, სიმბოლოს შემდგომი პროგრესისათვის, იემენის ყველა მკვიდრთა ბედნიერებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში იემენის სოციალისტური პარტიის გამარჯვებათა სიმბოლოა.

ამავე დღეს ა. ნ. კოსიგინმა გვირგვინით შეამკო რევოლუციის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი, რომელიც სამხრეთ იემენის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ სკვერშია აღმართული.

დღეს ა. ნ. კოსიგინი მოსკოვს გამოემგზავრა.

ადენიდან მოსკოვს მომავალი საბჭოთა მთავრობის მეთაური ცოტა ხნით შეჩერდა ბომბეიში. აეროპორტში ა. ნ. კოსიგინსა და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შ. ნ. მიშრას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

□

იმავე დღეს ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა.

ვნუკოვოს აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინს დახვდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყვნენ ეთიოპიის ელჩი სსრ კავშირში

ᲥᲬᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

თეატრი — ბავშვებს!

სექტემბერი მოსწავლე ახალგაზრდობას მარტო სკოლისაკენ როდი მოუხმობს. მათ თავიანთი თეატრებიც. სბავშვო და მოზარდ მაყურებელთა თეატრებიც ეპატიჟებიან ნათელ დარბაზებში.

თუ რა სიახლეები ელოდებათ ნორჩებს, ამის შესახებ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრნენ:

3. ᲗᲐᲚᲚᲐᲕᲔᲠᲘᲫᲔ: — თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორი: 1979-80 წლების სეზონი ჩვენი თეატრისათვის საიუბილეოა. მას 45 წლის წინათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გ. მიქელაძის ხელმძღვანელობითა და მეცადინეობით ჩაეყარა საფუძველი.

თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი არა მარტო თბილისის სკოლამდელ აღსაზრდელებს, არამედ რაიონების ნორჩ მაყურებელსაც ემსახურება. მაგალითად, ამ გაზაფხულზე სპექტაკლები გვქონდა სვანეთსა და ლეჩხუმში, ვიყავით საინგილოში, დიდად გავახარეთ იქაური ყმაწვილები. მათ საჩუქრად გადავეცით ჩვენი სპექტაკლი „წითელქუდა“. თეატრი შეფობას უწევს ავრეთვე საგურამოსა და თელავის რაიონის სოფელ სანიორის სკოლამდელებს.

ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ ორი პრემიერა — ფ. ლიფშიცისა და ი. კიჩანოვას „იდუმალი ჰიპოპოტამი“ და ვლ. იაკუშევილის „ბავლეგა ციკანი“. მიმდინარე სეზონში პატარები ნახავენ სხვა ახალ დადგმებსაც. ესენია: მ. აბრამიშვილის „ბარბალუკა ნიშნა ნიშნა“ და ი. ჩაპოვეცკის „ბარაქალა, მიცია“. რეპერტუარში რჩება ს. კლდიაშვილის „ლახუნდარელის თავგადასავალი“, მწერალი ო. იოსელიანი გვპირდება „დაჩის ზღაპრების“ ინსცენირებას.

ოქტომბრის მეორე ნახევარში ჩვენი თეატრი ტაშკენტში გაემგზავრება აზიისა და აფრიკის ქვეყნების თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. ფესტივალზე ვუჩვენებთ ახალგაზრდა მწერლის მ. ხეთაგურის პიესას „ხეტიალა“, რომელიც თეატრის მთავარმა . რეჟისორმა გ. სარჩიმელიძემ დადგა. ვეცდებით პირი არ შევარცხვინოთ.

3. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ: — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: — ჩვენმა თეატრმა ახალი სეზონი დასავლეთ საქართველოს რაიონებში დაიწყო. იქაური მოსწავლე ახალგაზრდობა თვის ბოლომდე ნახავს ქ. ქუჩუკაშვილის „გოგო ხოხესიას“ და ა. ლინდგრენის „ბიჭუნა და ქარლსონს“.

1 ოქტომბერს კი თბილისში პრემიერა გვაქვს — წარმოვადგენთ ა. ზაიცკის „რობინ ჰუდს“. მერე კიდევ ორ პრემიერას ნახავს ჩვენი ნორჩი მაყურებელი. ესენია თ. ბიბილურის „ორი ნოველა“ („ვიღაც გვეძახის“ და „მთვარიანი ღამის სტუმრები“), რომელიც დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. გაწერელიამ და თ. ჭილაძის „თავფარავნელი ჭაბუკი“ (დამდგმელი რეჟისორი-ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. მირცხულავა).

გახსაზღვრული გვაქვს მომდინარე სეზონში წარმოვადგინოთ ა. მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა“, ვ. აგრანოვსკის „შეაჩერეთ მალახოვი“, ე. ახვლედიანის მუსიკალური სანახაობა „რწყილი და ჭიანჭველა“, ხოლო რეპერტუარში ისევ გვექნება ი. გოგებაშვილის „იავნანა რა ჰქმნა?!, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, ა. ტრავერსის „მერი პოპინსი“ და დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“. თეატრისათვის დიდად პასუხსაგებია ის ამბავი, რომ ამ სეზონში დაგეგმილია გასტროლები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. ჩვენი ნორჩი მაყურებელი უთუოდ გაიხარებს — დარბაზი შეკეთდა.

Ლ. ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ: — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: — ბავშვის წელთან დაკავშირებით თეატრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სბავშვო რეპერტუარს. სეზონი გავხსენით პრემიერით. წარმოდგენილი იყო ალ. ტოლსტოის „ბურატინოსა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, იგი დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. ბასილაშვილმა. უფროსკლასელები ნახავენ ე. როსტანის „რომანტიკოსებს“, ნ. ვორონოვის „ძიებას“. რეპერტუარში გვაქვს გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, მ. შოლოხოვის „თავხება“, ვ. აგრანოვსკის „შეაჩერეთ მალახოვი“ და ა. შ.

თეატრს განზრახული აქვს შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყაროს ნოვოსიბირსკისა და გორკის მოზარდ მაყურებელთა თეატრებთან.

საუბარი ჩაიწერა
Ლ. ᲥᲘᲜᲯᲚᲐᲫᲔᲛ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲣᲪᲮᲝ ქვეყნის ხელოვნებასთან ყოველი ახალი შეხვედრა მეტად საზეიმო და დასამახსოვრებელია თბილისელებისათვის. საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში ამჟამად გახსნილია ახალგაზრდა ბულგარელი მხატვრების გამოფენა ციკლიდან „ხალხთა მეგობრობა“, რომელიც ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს ეძღვნება. გამოფენა მნახველებს აცნობს ახალგაზრდა ფერმწერთა ნამუშევრებს, რომლებიც ქანრული მრავალფეროვნებითა და მხატვართა მსოფლმხედველობის ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩევა.

ვერნისაჟზე სიტყვით გამოსულმა ბულგარელ მხატვართა ჯგუფის ხელმძღვანელმა ხელოვნებათმცოდნემ ბისერა იოსიფოვამ დამსწრეებს აცნობა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ტილოები იმ მხატვრებს ეკუთვნის, რომელთა ასაკიც არ გადასცილებია 35 წელს, ანუ ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ხანას. მათს ნამუშევრებში ასახულია დღევანდელი ბულგარელი ადამიანის ფსიქოლოგია, მისი მსწრაფვებანი და ამასთანავე დაცულია ქვეყნის ისტორიისა და ხელოვნების ათასი წლის ტრადიციები.

დეკემბერში კი ბულგარელ ფერწერის მოყვარულთ თვალით შემოქმედებას გააცნობენ ახალგაზრდა ქართველი მხატვრები.

Ზ. ᲦᲐᲕᲗᲐᲫᲔ.

□

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ახალგაზრდა ბულგარელი მხატვრების ნამუშევართა საგამოფენო დარბაზში; ს. სავოვის ნახატი „ნატურმორტი“.

Ჯ. ᲘᲣᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ᲝᲠᲔᲠᲐᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘ

რამდენიმე დღეა თურქეთიდან დაბრუნდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“, რომელიც იქ იზმირის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობდა.

— სამწუხაროდ, მე ვერ წავედი იზმირში, სადაც, როგორც ანსამბლის წევრებმა მიამბეს, დიდი წარმატება ხვედრია საქართველოს წარგზავნილებს, — გვითხრა გუშინ სტუმრად „ორერას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მოღვაწე კ. კაბიძემ. — საქმე ის არის, ვინ რას ეტყვის, რომ ბევრ რამდენიმე თვეა მიდებენ კინოსტუდიის „მოსფილმში“. გადაღება ფილმისა, რომელსაც პირობითად „ქალები და მამაკაცები“ ჰქვია, მალე დამთავრდება, და ანსამბლის წევრები სრული შემადგენლობით გავემგზავრებით საგასტროლოდ.

Ვ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ა. Ს. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ



ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1979 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲖᲔ:

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲪᲐᲡ ᲛᲝᲬᲤᲔᲗᲘᲗ

რუსული ენა — 1 ადგილი (მიზნობრივი დანიშნულებით).

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲪᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲤᲔᲗᲚᲘᲗ

პედაგოგიკის თეორია და ისტორია — 2 ადგილი.

ტექნიკურ დისციპლინათა სწავლების მეთოდიკა — 1 ადგილი.

ფიზიკის სწავლების მეთოდიკა — 1 ადგილი (მიზნობრივი დანიშნულებით).

ასპირანტურაში წარმოებას მოუწყვეტით მიიღებიან არაუმეტეს 35 წლის ასაკის, წარმოებას მოუწყვეტლივ — არაუმეტეს 45 წლის ასაკის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი და მეცნიერული კვლევის უნარი.

უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც ექნებათ უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს (ფაკულტეტის) რეკომენდაცია.

ასპირანტურაში შემსვლელები ამბობენ მისაღებ გამოცდებს: სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში „უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მიხედვით.“

განცხადება ასპირანტურაში შესვლის შესახებ შემოტანილ უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილებაში 1979 წლის 20 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. მისაღები გამოცდები 25 ოქტომბრიდან. დაწერილებითი ცნობები — **მისამართი: თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 32.** ტელეფონი: 22-58-35.

1979 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ქ. თბილისში, კინოს სახლში (რუსთაველის გამზ. 52), **დღის 12 საათზე, ეწყობა საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების II ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲐ.**

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 20 სექტემბერს დილის 11-დან საღამოს 6 საათამდე რესპუბლიკურ გამგეობაში და 21 სექტემბერს დილის 10 საათიდან — კინოს სახლში.

საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ „ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲝᲛᲐᲠᲐᲑᲔᲑᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ „ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲔᲜᲜᲐᲮᲨᲘᲠᲛᲝᲛᲐᲠᲐᲑᲔᲑᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲡ დაწესებულებების, მშენებლობებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ ამა წლის 1-დან 20 ოქტომბრამდე ქ. თბილისში ორჯონიკიძის ქ. № 153-ში მდებარე „საქმშენნახშირმომარაგებაგასალების“ სამმართველოს ბაზაში იწარმოებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის პერიოდში საშენი მასალები და სანტექმონტაჟო ნაკეთობანი არ გაიცემა.

ამასთან დაკავშირებით „საქმშენნახშირმომარაგებაგასალების“ სამმართველო სთხოვს მომხმარებლებს, რომ საჭირო პროდუქციის მიღება ბაზიდან 9 თვის ფონდების ანგარიშზე უზრუნველყონ 1979 წლის 1 ოქტომბრამდე, რითაც ხელს შეიწყობენ საწარმოთა და მშენებელთა შეუფერხებელ მუშაობას ინვენტარიზაციის პერიოდში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „მთავარმომარაგებაგასალების“ „საქმშენნახშირმომარაგებაგასალების“ სამმართველო. ორჯონიკიძის ქ. № 153. ტელეფონი 34-72-76.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — აბიგურიენგბოთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.),17.05 — მულგიპლიკაციური ფილმი, 17.25 — შვვისწავლოთ გერმანული ენა, 17.55 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფ.), 18.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რა არის ჩვენი ცხოვრება“ (ფ.), 18.45 — „აფრები წყვეტენ ყველაფერს „თითვარი სიმაღლე“ — განმეორებით), 19.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — ფეხბურთი უეფას თასზე კიევის „დინამო“ — ბულგარეთის ცსკა „სპარტაკი“ — „საუთჰემპტონთან“ — 2:3.

მაშ ასე, დღეს სტარტი ეძლევა ევროპულ ტურნირებს, ვისთვის მარათონულია და ვისთვის — ხანმოკლეს!?

Ბ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

□

„ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘᲡ“ ᲔᲠᲐ“ — ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ?!

ᲓᲦᲔᲡ გაიმართება სამი ძირითადი ევროპული ტურნირის (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფას თასებზე) მატჩები. ფეხბურთის გულშემატკივრები, გასაგებია, მრუთმენლად ელიან შეხვედრას ლივერპულში, სადაც ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული“ იღებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონს თბილისის „დინამოს“. შეხვედრისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ გუნდებს არასოდეს უთამაშიათ ერთმანეთთან.

იმ ზღვა მასალას შორის, რომელსაც ჟურნალ-გაზეთები აჭაშვენებენ თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „ლივერპულის“ შესახებ, ჩვენი აზრით, ყურადღებას იქცევს ორი: ვარშავის ჟურნალმა „პოლკა ნოვნა“ ნა სტადიონს პოლსკი ი სპიტამ“ („ფეხბურთი პოლონეთსა და მსოფლიოს სტადიონებზე“) გამოაქვეყნა მიმომხილველ ანტონი პოინტეკის ვრცელი სტატია ინგლისურ ფეხბურთზე მრავლისმომქმელი სათაურით „ლივერპულის“ ერა“. პოინტეკი დაწერილებით შეეხო „ლივერპულის“ შესანიშნავ თამაშს 1978-79 წლის სეზონის მანძილზე, რომელმაც მას ინგლისის ჩემპიონის წოდება მოუტანა. თითქოს იმავე დროს ლონდონის გაზეთმა „მორნინგ სტარმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ლივერპულის“ ერა დამთავრდა“. აქ უკვე ლაპარაკია ჩემპიონის საკმაოდ უფერულ თამაშზე ქვეყნის 1979-80 წლების პირველობის სტარტზე. თუ რომელი მიმომხილველია მართალი, ამას ცხადია, მომავალი გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში ინგლისის ჩემპიონატი სულ ახლახანს დაიწყო და იქნებ ახლა არც იყოს „ლივერპულის“ შესახებ კატეგორიული დასკვნების გამოტანის დრო. ინგლისში (და მის ფარგლებს გარეთაც) „ლივერპულს“ არასოდეს არ აკლდა არც მეხოტბეები და არც კრიტიკოსები, და სწორედ ამ კრიტიკოსებს უპასუხა ინგლისის 1978-79 წლების ჩემპიონატის მიწურულში „ლივერპულის“ ყოფილმა მწვრთნელმა ბილ შენკლიმ (იგი ხშირად აკეთებს გუნდის სახელით განცხადებებს). როდესაც თქვა: „ნუ ელიან, რომ ჩვენ მომავალ სეზონში პოზიციებს დავიმობთ. პირიქით, ჩვენ კიდევ უკეთ ვითამაშებთ“, ამასაც, ცხადია, მომავალი გვიჩვენებს.

ახლა კი ზოგი რამ ინგლისის მიმდინარე ჩემპიონატში გუნდის თამაშის შესახებ. სეზონის პირველივე მნიშვნელოვანი ამხანაგური მატჩი ჩემპიონსა და თანის მფლობელს შორის „ლივერპულმა“ დამაჯერებლად მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 3:1. პირველობის წინ თითქოს სათანადო სტიმულიც მიეცა, მაგრამ...

„ლივერპულს“ პირველი საჩემპიონატო მატჩი სტუმრად „ვულვერჰემპტონ უანდერერსის“ წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ ეს შეხვედრა არ შემდგარა. საქმე ის არის, რომ „ვულვერჰემპტონ უანდერერსის“ სტადიონის რეკონსტრუქცია დროზე ვერ დამთავრდა, სატურნირო ცხრილში დღეისათვის, როდესაც ჩემპიონატში 6 ტური გათამაშდა, „ლივერპულს“ 5 თამაშიდან 6 ქულა აქვს (ორი მოგება, ორი ფრე და წაგება „საუთჰემპტონთან“—2:3).

მაშ ასე, დღეს სტარტი ეძლევა ევროპულ ტურნირებს, ვისთვის მარათონულია და ვისთვის — ხანმოკლეს!?

Ბ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთოთხმეტე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ“ ითამაშა „რასნოდარში ადგილობრივ „აყუბანთან“. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0. ტურნირს ლიდერობს ლვოვის „კარპატი“ — 47 ქულა. ქუთაისის „ტორპედო“, კემეროვოს „აუზბასი“ და ოდესის არმიელთა გუნდი 34-34 ქულით მეთერთმეტე-მეცამეტე ადგილებს ინაწილებენ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის 38-ე ტურის მატჩები. ამ ტურნირში მონაწილე საქართველოს კოლექტივების შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (ზუგდიდი)-„არაზი“ (ნახიჩევანი) — 2:0, „დინამო“ (სოხუმი)-„ხაზარი“ (ლენჭორანი) — 5:1, „დინამო“ (ბათუმი)-„არაბკირი“ (ერევანი) 3:1, „გაზოვიკი“ (ორენბურგი)-„დილა“ (გორი) — 1:0, „დინამო“ (ციხინვალი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 0:2, „დრუჟბა“ (ოიმკარ-ოლა)-„კოლხეთი“ (ფოთი) — 0:1, „ზენიტი“ (იეკატერინბურგი)-„ბურევესტნიკი“ (ნალჩიკი) — 1:0. გათამაშებას ლიდერობენ აბოვიანის „კოტაიკი“ და სტეფანაკერტის „ყარაბახი“ — 48-48 ქულა. ლანჩხუთის „გურია“ და სამტრედიის „ლოკომოტივი“ 46-46 ქულით მესამეთოთხე ადგილებს ინაწილებენ. ზუგდიდის „დინამო“ მეხუთე ადგილზეა — 45 ქულა.

ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲚᲜᲐᲗᲗᲐᲛᲝᲠᲘᲡᲝ...

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ დედაქალაქ რიგაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ასპარეზობა. ვალაზობთ გადადებული პარტიების დამთავრების შედეგებს: ტალმა დაამარცხა ლუბოევიჩი, კუზმინმა — რომანიშინი, გეორგიუმ — რიმსდეიკი და მედნისი, ლუბოევიჩმა — ტროიისი, პოლუგაევსკიმ — ბუალზიზი, რომანიშინი და კუზმინი, ლარსენმა — მაილსი და როდრიგესი, ცეშკოვსკიმ — ბუალზიზი, ტარიანმა — ცეშკოვსკი. ყიბმზე შეთანხმდნენ მაილსი და გრინფელდი, ტალი და ლარსენი, რომანიშინი და ცეშკოვსკი, რიბლი და ადორიანი.

ცხრა ტურის შემდეგაც ლიდერია ტალი — 7,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: გეორგიუ და ლარსენი (7-7), პოლუგაევსკი — 6,5, რიბლი — 5,5, ადორიანი — 5 (2 პარტია გადადებულია), ტარიანი — 5, მაილსი — 4,5, კუზმინი და ლუბოევიჩი — 4-4, რიმსდეიკი, გრინფელდი და ცეშკოვსკი — 3,5-3,5, რომანიშინი — 3 (1), ტროიისი — 3, მედნისი — 2,5 (1), ბუალზიზი — 2,5, როდრიგესი — 1,5 ქულა.

ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲔᲡ, 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ამ ზაფხულს მოხდა. ხუთ ივლისს ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს მოქალაქე რომან დოღონაძე — ტყიბულის ზონის ორპირის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის უბნის უფროსი. ფეხიდან სისხლი სდიოდა, ეტყობოდა დაჭრილი იყო.

თავად დოღონაძე და მისი მხლებელნიც, რომლებმაც იგდ საავადმყოფომდე მოაცილეს, პირველივე სამედიცინო დახმარებასღა მოითხოვდნენ და შინ წასვლას ჩქარობდნენ. რა მოგვიდაო, რომ ეკითხებოდნენ, ავადმყოფი კვნესას და წუხილს უმატებდა და ბუნდოვნად და გაურკვევლად ბუტბუტებდა: „ჯანდაბა და დოზანა, ერთ წუთშია ხიფათი, და კაცის სიცოცხლეც, ბეწვზე გადავრჩი...“

მერე, როცა ნაჭრილობევი ხელდახელ რენტგენზე გაუშუქეს და უთხრეს, მუხლში უცხო სხეული მოჩანს და ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო, გამოტყდა: რევოლვერის ტყვია მაქვს მორტყმულიო.

ბოლოს იძულებული გახდა ისიც ჩაეწერინებინა ავადმყოფობის ისტორიაში თუ რა ვითარებაში მოხდა ეს: გელათის ქუჩაზე მივდიოდი მოულოდნელად სროლა რომ ატყდა. გონს მოსვლა ვერც კი მოვასწარი, ტყვია ფეხში მომხვდა და წავიქეცი, ამ დროს წითელი ფერის „ეიგულმაც“ ჩამიქროლა, ეტყობა იქიდან ისროდნენ, თუმცა ვერც მანქანის ნომერი დავიხსომე და ვერც შიგ მსხდომნი შევიცანიო.

საავადმყოფომ იმავე დღეს აცნობა ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს კ. ჩიჩლაძეს, დაჭრილი მოგვიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გავუკეთეთო.

მალე საავადმყოფოში მოვიდა უბნის რწმუნებული გ. გიორგაძე და ახალნოპერაციები ავადმყოფის დაკითხვა მოისურვა, მაგრამ ექიმებმა ნება არ მისცეს. მეტი რა ჩარა იყო, მილიციის წარმომადგენლმა ავადმყოფობის ფურცელს გადახედა, უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა და წავიდა. მეორე დღეს მან დაჭრილის ტანსაცმელი წაიღო და დაკითხა დავით აღმაშენებლის ქუჩის მცხოვრებლები, რომელთა ცხვირწინაც, როგორც დოღონაძე ამბობდა, უნდა მომხდარიყო ეს ამბავი. მაგრამ აღწერილი ფაქტი არც ერთმა არ დაადასტურა: მაგ დროს სროლის ხმა საერთოდ არ გაგიგონიაო.

ამის შემდეგ მოქალაქე რომან დოღონაძის დაჭრასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი მოკვლევისათვის გადასცეს ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო მუშაკს, — უფროს ინსპექტორ კ. ბერუაშვილს და ინსპექტორ ნ. გიორგაძეს.

ვერ ვიტყვით, რომ ისინი უგულოდ და ზერელედ მოეკიდნენ საქმეს. პირიქით, პირველ ხანებში უფრო მკაცრადაც კი ეჭირათ თავი, ვიდრე ამას გარემოება მოითხოვდა. მაშინვე დატრიალდნენ და შეუდგნენ საჭირო მასალების მოძიებას და შეგროვებას: გამოითხოვეს და საქმეს დაურთეს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის აქტი და ჭრილობიდან ამოღებული ტყვია, დაჭკიფეს რ. დოღონაძე, რომელსაც ამ ათი დღის განმავლობაში მოუშუშდა ჭრილობა, დამშვიდდა, დაწყნარდა, გონება მოიკრიბა და ახლა უკვე სულ სხვანაირად გაიხსენა ხუთი ივლისის ამბავი: „... მივდიოვარ და რას ვხედავ, აგერ რეკოლვერი არ აგდია ქუჩაში! ლურჯად გაუდის მზეზე ლაპლაპი, ავიღე, შეეტრიალ--შემოვატრიალე ხელში, ვაკვირდები, ვსინჯავ... უცებ „ბუხო“, რდაპირ მუხლში არ გაირტყა ამ საცოდავმა!“.

ოპერატიული მუშაკები აღგენენ და ასევე ჩაწერეს მისი ჩვენება დაკითხვის ოქმში. რა უფლება ჰქონდათ სხვანაირად ჩაეწერათ! მერე რა, რომ პირველად დოღონაძე სულ სხვას ამბობდა. ალბათ მაშინ დაჭრილს, შეშინებულს და დაფეთებულს არეულ-დარეული ჰქონდა ჭკუა. ახლა კი, რას ერჩი, მტკიცედ და დაჯერებით ლაპარაკობდა. ის კი არა, მოწმეებიც კი შემოძღოა ვიტბოვნო, იმ ადგილს რომ მიმიყვანაო.

ამაზე მილიციის თანამშრომლებმა დაჭრილი და ავადმყოფი კაცი არ შეაწუხეს და თავად მივიდნენ შემთხვევის ადგილას ვადით აღმაშენებლის ქუჩაზე და გაიკითხეს: ასე და ასე, ხუთ ივლისს, ამ და ამ ამბის მოწმე და მნახველი ხომ არავინ ყოფილხართო.

მეზობლების ჯგუფს მაშინვე გამოეყო სამი კაცი — ამირან დარსაძე, ოთარ ტურაბელიძე და ნოდარ გიორგაძე ოპერმუშაკების წინაშე წარდგნენ და მოახსენეს: როგორც თქვენ ბრძანეთ, ზუსტად ასე იყო ეს ამბავი: „გზაზე უცხო კაცი მიდიოდა, უცებ დაიხარა, რევოლვერი იპოვა, მზეზე სულ ლურჯად გაუდიოდა ლაპლაპი, ხელში აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, უცებ „ბახო“, და პირდაპირ მუხლში არ გაირტყა!“.

ოპერატიული მუშაკები ადგენენ და ასევე ჩაწერეს მისი ჩვენება დაკითხვის ოქმში. რა უფლება ჰქონდათ სხვანაირად ჩაეწერათ! მერე რა, რომ პირველად დოღონაძე სულ სხვას ამბობდა. ალბათ მაშინ დაჭრილს, შეშინებულს და დაფეთებულს არეულ-დარეული ჰქონდა ჭკუა. ახლა კი, რას ერჩი, მტკიცედ და დაჯერებით ლაპარაკობდა. ის კი არა, მოწმეებიც კი შემოძღოა ვიტბოვნო, იმ ადგილს რომ მიმიყვანაო.

ამაზე მილიციის თანამშრომლებმა დაჭრილი და ავადმყოფი კაცი არ შეაწუხეს და თავად მივიდნენ შემთხვევის ადგილას დავით აღმაშენებლის ქუჩაზე და გაიკითხეს: ასე და ასე, ხუთ ივლისს, ამ და ამ ამბის მოწმე და მნახველი ხომ არავინ ყოფილხართო.

მეზობლების ჯგუფს მაშინვე გამოეყო სამი კაცი — ამირან დარსაძე, ოთარ ტურაბელიძე და ნოდარ გიორგაძე ოპერმუშაკების წინაშე წარდგნენ და მოახსენეს: როგორც თქვენ ბრძანეთ, ზუსტად ასე იყო ეს ამბავი: „გზაზე უცხო კაცი მიდიოდა, უცებ დაიხარა, რევოლვერი იპოვა, მზეზე სულ ლურჯად გაუდიოდა ლაპლაპი, ხელში აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, უცებ „ბახო“, და პირდაპირ მუხლში არ გაირტყა!“.

ოპერატიული მუშაკები ადგენენ და ასევე ჩაწერეს მისი ჩვენება დაკითხვის ოქმში. რა უფლება ჰქონდათ სხვანაირად ჩაეწერათ! მერე რა, რომ პირველად დოღონაძე სულ სხვას ამბობდა. ალბათ მაშინ დაჭრილს, შეშინებულს და დაფეთებულს არეულ-დარეული ჰქონდა ჭკუა. ახლა კი, რას ერჩი, მტკიცედ და დაჯერებით ლაპარაკობდა. ის კი არა, მოწმეებიც კი შემოძღოა ვიტბოვნო, იმ ადგილს რომ მიმიყვანაო.

ამაზე მილიციის თანამშრომლებმა დაჭრილი და ავადმყოფი კაცი არ შეაწუხეს და თავად მივიდნენ შემთხვევის ადგილას ვადით აღმაშენებლის ქუჩაზე და გაიკითხეს: ასე და ასე, ხუთ ივლისს, ამ და ამ ამბის მოწმე და მნახველი ხომ არავინ ყოფილხართო.

ᲗᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲪᲔᲮᲘᲚᲘ ᲪᲘᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ამ ზაფხულს მოხდა. ხუთ ივლისს ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს მოქალაქე რომან დოღონაძე — ტყიბულის ზონის ორპირის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინ